

8. ნიადაგის ბეჭდვის მინიმიზირება

მიწის პროფილის შეცვლა და შემდგომ ნიადაგის ბეჭდვა (ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად ნიადაგის ფენის იზოლირება ატმოსფეროსაგან, ჰიდროსფეროსაგან და ბიოსფეროსაგან) ეხება ყველა ნიადაგს, რაც კავშირშია ბინათმშენებლობის და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, მაგრამ განსაკუთრებულ წუხილს იწვევს ნაყოფიერი სახნავი ნიადაგების ბეჭდვა, მათი სასურსათო წარმოების, სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და კვების ხარისხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე ჩაკეტილი ციკლის ეკონომიკისათვის. მრავალ ადგილში ქალაქების უკონტროლო ზრდა ნეგატიურად მოქმედებს მათ მიმდებარე დასახლებული რაიონების უფრო მეტად პროდუქტიულ ნიადაგებზე. ნიადაგის ბეჭდვას და მიწის პროფილის შეცვლას მოსდევს ნიადაგის რამდენიმე, ან ყველა ფუნქციის დიდწილად შეუქცევადი დანაკარგები, აგრეთვე ეკოსისტემების მომსახურებისა, რომლებსაც ნიადაგის ეს ფუნქციები უზრუნველყოფენ.

- ნიადაგების საერთო ფასეულობის გათვალისწინებით, პროდუქტიული სახნავი მიწების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად საჭიროა სათანადოდ

გადაისინჯოს არსებული პოლიტიკის, შესატყვისი კანონების და მიწათსარგებლობის დაგეგმარების პროცედურები, დასახლებული პუნქტების და ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.

- ისეთ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკა და კანონმდებლობა მომართულია პროფილშეცვლილი მიწების მინიმიზირებისაკენ საჭიროა მიღებული იქნას მტკიცე წამახალისებელი ზომები და არსებული სამრეწველო ქალაქების, ან რაიონების ახლებური გამოყენება, ისეთების როგორცაა დაცარიელებული, ან მიტოვებული ობიექტები, აგრეთვე დეგრადირებული რაიონების აღდგენა, მას შემდეგ რაც რეალიზდება რეკულტივაციისათვის სათანადო ზომები. საჭიროა წახალისდეს კარიერების და შახტების ფართობების ეკოლოგიური აღდგენა.
- ეკოსისტემების მნიშვნელოვანი მომსახურების უზრუნველყოფელი ნიადაგები, მათ შორის დიდი რაოდენობით შემოჭავი ნიადაგური ნახშირბადისა, გამორჩეული მაღალი ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ან სასოფლო სამეურნეო საქმიანობისათვის მაღალი ვარგისიანობით, უნდა იყოს სპეციალური კანონებით დაცული მიწის პროფილშეცვლისაგან, დასახლებული პუნქტების და ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.